

კინგის ქართული ენის ოლიმპიადა

I ტური XI-XII კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ (60 ქულა)

- ჩამოთვლილთაგან რომელია თავისებურ სახელთა წყვილი?
ა) მრგვალი, სქელი; ბ) ბეგარა, ქარხანა; გ) ერთი, ოცდაერთი;
- ჩამოთვლილთაგან რომელია თავისებურ სახელთა წყვილი?
ა) ღმერთი, ადამიანი; ბ) დრო, ხბო; გ) ლიმონი, ვაშლი;
- რომელია მართებული ფორმა?
ა) ამილახვარის; ბ) მებუკის; გ) ჰაინის;
- რომელი ჯგუფის ნაცვალსახელება: არავინ, ვერავინ, ნურავინ?
ა) ჩვენებითის; ბ) განსაზღვრებითის; გ) უარყოფითის;
- რომელია მართებული ფორმა?
ა) ესე; ბ) ეგრე; გ) ჩვენსკენ;
- რომელია მართებული ფორმა?
ა) მათს ამბავს; ბ) მათმა იაქტიურეს; გ) ჩვენ ყოფას;
- რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია ვინმე წინადადებაში: „ვინმე იპოვის და დააპურებს.“ ?
ა) განსაზღვრებითის; ბ) ურთიერთობითის; გ) განუსაზღვრელობითის;
- ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი ფორმა?
ა) ერთმა და იმავემ; ბ) ერთსა და იგივეს; გ) ერთმა და იგივემ;
- ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?
ა) მე- VIII; ბ) XV- ე; გ) XXXI;
- როგორი მეტყველების ნაწილია თანდებული?
ა) ფორმაცვალეზადი და დამხმარე;
ბ) ფორმაუცვლელი და დამხმარე;
გ) ფორმაუცვლელი და სრულმნიშვნელოვანი;
- თანდებული დაერთვის:
ა) შვიდ ბრუნვას; ბ) ექვს ბრუნვას; გ) ხუთ ბრუნვას;
- რომელი ბრუნვის თანდებულია გამოყენებული წინადადებაში:
„წამოვიდა ქალაქიდან და ერთ მიტოვებულ სახლს შეაფარა თავი.“
ა) მიცემითის; ბ) ნათესაობითის; გ) მოქმედებითის;
- შეუსაბამეთ წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას მისთვის შესაბამისი ნაწილაკი:
„დიდედას ჰკითხე, ხვალ რომელ საათზე მივდივართ სტუმრად -.“
ა) მეთქი; ბ) ო; გ) თქო;
- რომელი აფიქსია ზედსართავის ხარისხის ფორმის მაწარმოებელი?
ა) მე- ე; ბ) მო-ო; გ) სა-ო;
- რომელია ყოლა-ქონების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის მაწარმოებელი აფიქსი?
ა) -იან, იერ; ბ) მო-ო, მო-ე; გ) სა-ე, სა-ურ;
- ჩამოთვლილთაგან რომელია გარდაუვალი ზმნა?
ა) უმზადებს; ბ) ეჭიდება; გ) იძრობს;
- რომელია გარდამავალი ორპირიანი ზმნა?
ა) ამაგრებს; ბ) ემალება; გ) ესალმება;
- რომელ ზმნაშია შუალობითი კონტაქტის ნიშანი?
ა) გააპო; ბ) ათქმევინა; გ) აალაპარაკა;
- რისი ნიშანია ზმნაში შეაქ-ო „ო „ ბოლოსართი?
ა) მესამე სუბიექტური პირის; ბ) მესამე ირიბობიექტური პირის; გ) მესამე პირდაპირობიექტური პირის;
- რისი ნიშანია ზმნაში ვჭრი ბოლოსართი „ი“ ?
ა) პირის; ბ) გვარის; გ) თემის;

